ხელშეკრულება №147

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი - NAT210020611)

ქ. თბილისი 24 ნოემბერი, 2021 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 2-**261-335**, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ს/ნ-204862078), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**“, წარმოდგენილი საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის **გიორგი გომარელის** სახით და **შპს „ბურჯი 77“** (მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი მე-6 კვ. მე-18 კორპ. ბინა 30, ტელ: 599-176-463, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE48TB7390736050100002, სს „თიბისი ბანკი”, კოდი TBCBGE22, ს/ნ-405189488) შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან კოხოძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ _ წინამდებარე ხელშეკრულების ფასთა ცხრილით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების ფასთა ცხრილით განსაზღვრული
გათბობის ქვაბის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) მიწოდება
(CPV კოდი - 44620000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა: 32 800 (ოცდათორმეტი ათას რვაასი) ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით**.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟის/მონტაჟის) მიწოდების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების ფასთა ცხრილით განსაზღვრული გათბობის ქვაბის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2ა.

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

5.2 მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა) წუნდებული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეცვლა ან/და შეკეთება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

5.3 საგარანტიო ვადა (ერთი წელი) გასულად არ ჩაითვლება და მიმწოდებელს ეკისრება წუნდებული საქონლის შეცვლის ან/და შეკეთების ვალდებულება ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგაც, თუკი საგარანტიო ვადის განმავლობაში აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველმა მიმართა მიმწოდებელს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით.

5.4 წუნდებული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეცვლის ან/და შეკეთების ვალდებულებაზე ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები - **მიხეილ ჩუბინიძე** და **ვახტანგ პატარქალაშვილი**, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - **ნუგზარ ღონღაძე**, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში დააკმაყოფილოს წარდგენილი პრეტენზია და უზრუნველყოს დეფექტების გამოსწორება ან საჭიროების შემთხვევაში ჩაანაცვლოს დეფექტური საქონელი საკუთარი სახსრებით.

6.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული საქონლის უხარისხობით გამოწვეული ზარალი.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის თანმდევი მომსახურებით (მონტაჟით) მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის სახით. ინსპექტირების დასკვნა გაფორმებულ უნდა იქნას საქონლის მიწოდების დღეს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი - საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი სახით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირია **ზაქარია წითლაური**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი.

7.3 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება ვადის გადაცილებად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ს გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფასთა ცხრილით განსაზღვრული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ამ მუხლის 10.1 ან/და 10.2 ან/და 10.3 პუნქტებით გათვალისწინებული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა 10.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით.

16.2 მხარეები უფლებამოსილი არიან, ხელშეკრულება დაამოწმონ/დაადასტურონ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით.

16.3 ხელშეკრულების ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ან/და ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16,
ტელეფონი: 226-13-35,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
ს/ნ - 204862078

Giorgi Gomareli
Digitally signed by Giorgi Gomareli
Date: 2021.11.24 18:20:32 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „ბურჯი 77“,
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი მე-6კვ. მე-18 კორპ. ბინა 30,
ტელეფონი: 599-176-463,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№GE48TB7390736050100002,
სს „თიბისი ბანკი”, კოდი TBCBGE22,
ს/ნ-405189488

Amiran Kokhodze
Digitally signed by Amiran Kokhodze
Date: 2021.11.24 14:07:18 +04'00'

დანართი 1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და CPV კოდი	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა / განზომილება	ღირებულება (ლარი)	მწარმოებელი, წარმოშობის ქვეყანა და მოდელი	საგარანტიო ვადა (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან)	მიწოდების - დემონტაჟი/ მონტაჟის ვადა	მიწოდების - დემონტაჟი/ მონტაჟის ადგილი
1	გათბობის ქვაბი თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) (cpv კოდი - 44620000)	ბუნებრივი გაზის აირზე მომუშავე 1454 კილოვატიანი ქვაბი	**1ცალი**	**32800.00**	მწარმოებელი " UNMAK " წარმოშობის ქვეყანა "თურქეთი " მოდელი "UGS 1250"	საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი	მიწოდების - დემონტაჟი/ მონტაჟის ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2ა
				სულ	**32,800.00**	ლარი		

შპს ბურჯი 77-ის დირექტორი Amiran Kokhodze Digitally signed by Amiran Kokhodze Date: 2021.11.24 14:06:45 +04'00' ა. კოხოძე